ოქმი:**ო63.63213648**
თარიღი:**30/12/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი N 1

ქ. სამტრედია 3 დეკემბერი, 2021 წელი.

2021 წლის 3 დეკემბერს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა. სხდომა გახსნა სამტრედიის N54-ე საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ნანა იმნაძემ .

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ტარიელ დვალიშვილი, მანანა სირბილაძე, ვალერიანე ფოცხვერია, ბექა თევზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ირაკლი მელაშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ტარიელ ცომაია, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, დავით ჯანელიძე, ზაზა ადეიშვილი, ნათია პაპავა, გოჩა არველაძე, ვაჟა სტურუა, პაატა კოხრეიძე, ილია მჟავია, ჯონი თევზაძე, გიორგი გაგუა, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, გივი ჯულაყიძე, კობა ძიძიგური, ემზარ შუბლაძე, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, ავთანდილ თადუმაძე, ქეთევან კუტალაძე, მარიამ ბარბაქაძე, ლაშა გრიგოლია. -

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ბეჟან გეგეშიძე.

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი, ნოე ივანიაძე;

4. სამტრადიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე.

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საქმეთა სამსახურის უფროსი, ლევან ახობაძე.

6. ა.(ა).ი.პ.-ებისა და შ.პ.ს.-ების წარმომადგენლები.

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე.

8. შ.პ.ს სამტრედიის მაცნეს დირექტორი ბეჟან გოგია.

9. პარლამენტის დეპუტატის ბიუროს თანამშრომლები.

10. საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები.

12. ადგილობრივი პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

V მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა გახსნა სამტრედიის N54 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ნანა იმნაძემ, რომელმაც მიულოცა ახლად შეკრებილ საკრებულოს წევრებს არჩევნებში გამარჯვება და უსურვა წარმატებები. აღნიშნა, რომ - ,,საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 25 ნოემბრის N 372/2021 განკარგულება) და მე, როგორც საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მაქვს პატივი გავხსნა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არის უმნიშვნელოვანესი, რადგან ამომრჩეველი ირჩევს თავიანთი მუნიციპალიტეტის თემის მერს და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს-საკრებულოს. გამომდინარე აქედან დარწმუნებული ვარ თქვენი საქმიანობა წარმატებული და ნაყოფიერი იქნება ჩვენი მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ.

წარმოგიდგენთ 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ ინფორმაციას და სტატისტიკურ მონაცემებს:

2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის არჩევნებისთვის N 54-ე სამტრედიის ოლქის სამოქმედო ტერიტორიაზე შეიქმნა 11-ი ერთმანდატიანი ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქი.

.პროპორციული წესით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო თერთმეტმა საარჩევნო სუბიექტმა, ხოლო მაჟორიტარული წესით 9 საარჩევნო სუბიექტის მიერ წარმოდგენილმა 59-მა მაჟორიტარ კანდიდატმა და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილმა ორმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა.

N 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიასა და მასში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიებში , კენჭისყრის დღეს აკვირდებოდნენ რეგისტრაციის მქონე როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები მათ საარჩევნო კომისიების მუშაობის მიმართ, რაიმე სახის შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

რაც შეეხება ამომრჩეველთა რაოდენობას სამტრედიის მუნიციპალიტეტში შეადგენს -- 45182--ს.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო--24 0 92-მა ამომრჩეველმა. რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 53,41%-ია.

ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით, კანონით განსაზღვრული 3%--იანი ბარიერი 4-მა საარჩევნო სუბიექტმა გადალახა. ესენია:

N 5 ერთიანი ნაციონალური მოძრაობა--მიღებული ხმებია -7087 . რაც მოსულ ამომრჩეველთა--30.53%-ია. მანდატი -7.

N 9 პარტია „ლელო“ -მიღებული ხმებია--812, რაც შეადგენს მოსულ ამომრჩეველთა --3,50%-ს. მიღებული მანდატი--1.

N 25 გახარია-საქართველოსთვის--მიღებული ხმებია--926. რაც მოსულ ამომრჩეველთა--3,99%-ია. მანდატი-- 1.

N 41 პარტია ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო. მიღებული ხმებია--12 128-. რაც მოსულ ამომრჩეველთა 52,24%-ია. მიღებული მანდატები--13-ი.

2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით, კანონმდებლობით დაწესებული 40%-ზე მეტი ნამდვილი ხმებისა მიიღო და პირველივე ტურში გაიმარჯვა ქართული ოცნება

დემოკრატიული საქართველოს მიერ წარდგენილმა 11-დან 10-მა მაჟორიტარმა კანდიდატმა . ხოლო N 08 ბაში-იანეთის მაჟორიტარულ ოლქში დადგა საჭიროება მე- 2-ე ტურის გამართვისა, რადგან 40%- ზე მეტი ბარიერი ვერცერთმა კანდიდატმა ვერ გადალახა. ამიტომ მე-2-ე ტურში მონაწილეობა მიიღო ორი საუკეთესო შედეგის მქონე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების მიერ წარდგენილმა მაჟორიტარმა კანდიდატებმა. შედეგების მიხედვით, ხმათა უმრავლესობით 11-ე მანდატიც წილად ხვდა ქართული ოცნების მიერ წარდგენილ კანდიდატს.

რაც შეეხება 2021 წლის 2 ოქტომბრის თვითმმართველი ქალაქის/თვითმართველი თემის მერის არჩევას, N 54-ე სამტრედიის საარჩევნო ოლქში რეგისტრაცია გაიარა 4-მა საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილმა მერობის კანდიდატმა. ესენია:

N2 ,,ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“ კანდიდატი-ქალბატონი ჟუკიანა ფოფხაძე.

N 5 პარტია ,,ერთიანი ნაციონალირი მოძრაობის“ მიერ წარდგენილი კანდიდატი-ბატონი მამუკა ბიბილეიშვილი.

N 9 პ/გ „ლელოს“ კანდიდატი--ბატონი ბადრი კაპანაძე.

N 41 პარტია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მიერ წარდგენილი კანდიდატი-- ბატონი დავით ბახტაძე.

კანონით განსაზღვრული ამომრჩეველთა ხმების 50%-ზე მეტი მიიღო, მერობის კანდიდატმა - დავით ბახტაძემ --მას ხმა მისცა--13 714-მა ამომრჩეველმა, რაც მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის-- 59,90%-ია.

ამ შედეგების თანახმად ბატონი დავით ბახტაძე თვითმმართველი თემის არჩეული მერი გახლავთ.

რაც შეეხება საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობას:

1) საოლქო საარჩევნო კომისიამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის რომ პროფესიულ დონეზე უზრუნველეყო პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხოდ ორგანიზება. ამომრჩეველთათვის კენჭისყრის დღეს ყველა პირობა იყო შექმნილი, რომ მათ თავისუფალ გარემოში განეხორციელებინათ საკუთარი ნების გამოხატვა.

2) ასევე ღიაობისა და გამჭირვალობის პრინციპიდან გამომდინარე უპრეცედენტო იყო კენჭისყრის დღეს საარჩევნო ბიულეტენების დათვლა-დახარისხების პროცესის ვიდეო ფიქსაცია. აღნინული პროცესის ვიდეო ჩანაწერები ინახება და ნებისმიერი მსურველისათვის ხელმისაწვდომია ცესკოს ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით.

3) ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წილისყრით შერჩეული და გადათვლილი საარჩევნო უბნის შედეგები, რამაც უზრუნველყო პროცესების უფრო გამჭვირვალობა.

რაც შეეხება შემდეგს მინდა მადლობა გადავუხადო: პირველ რიგში თითოეულ ამომრჩეველს, ვინაიდან მათ, არჩევნებში მონაწილეობით გამოიჩინეს მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. ასევე ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი საარჩევნო ადმინისტრაციას, ცესკოს, საოლქო საარჩევნო კომისიის სრულ შემადგენლობას, საარჩევნო უბნის კომისიის წევრებს, რომლებმაც მიუხედავად საქართველოში შექმნილი რთული ეპიდემიოლოგიური ვითარებისა, საკუთარი ჯანმრთელობისა და რისკის ფასად, მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობითა და დაუღალავი შრომით განახორციელეს მათზე დაკისრებული მოვალეობა. ასევე მადლობას ვუხდი საარჩევნო პროცესებში ჩართულ მხარეებს: საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებელო ორგანიზაციებს, ადგილობრივ მედიასა და პრესას, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიაში დაგეგმილი საარჩევნო პროცედურებისა თუ იფორმაციის საჯაროობისა და კენჭისყრის დღის გაშუქების კუთხით. ასევე პოლიტიკურ პარტიებს, მათი მუშაობისა და მხარდაჭერისთვის, ვინაიდან ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა საარჩევნო პროცესების წარმართვა.

მეგობრებო! სამტრედიის მოსახლეობამ უდიდესი ნდობა გამოუცხადა აქ მყოფ ახლად არჩეულ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს და დარწმუნებული ვარ სამტრედიის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს საქმიანობა იქნება წარმატებული და ნაყოფიერი. და კიდევ ერთხელ მინდა მოგილოცოთ

და გისურვოთ წარმატებები თქვენს მომავალ საქმიანობაში!!

რაც შეეხება დასასრულს წარმოგიდგენთ ახლად არჩეული საკრებულოს სიას მაჟორიტარებს ესენია;

1) ზაზა ადეიშვილი .

2) ნათია პაპავა.

3) დავით ჯანელიძე.

4) ვაჟა სტურუა.

5) გოჩა არველაძე.

6) მერაბ უღრელიძე.

7) გიორგი ლეჟავა.

8) პაატა კოხრეიძე.

9) ჯონი თევზაძე.

10) გიორგი გაგუა.

11) ილი მჟავია

პროპორციული წესით არჩეულთა სიას ესენია:

ქართული ოცნებიდან:

1 ნუგზარ ჯამბურია.

2 ტარიელ დვალიშვილი.

3 მანან სირბილაძე.

4 ვალერიან ფოცხვერია.

5 ბექა თევზაძე.

6 ლიზა კრავეიშვილი.

7 ირაკლი მელაშვილი.

8 ჯონი ახობაძე.

9 მაია ტალაბაძე.

10 ტარიელ ცომაია.

11 ბადრი შენგელია.

12 ლელა ჩორგოლაშვილი.

13 გრიგოლ ჩიგოგიძე;

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;

14 ემზარ შუბლაძე.

15 დავით ნიკოლეიშვილი.

16 ქეთევან კუტალაძე.

17 ავთანდილ თადუმაძე.

18 აკაკი მინაშვილი.

19 მარიამ ბარბაქაძე.

20 ლაშა გრიგოლია.

21 კობა ძიძიგური - გახარია-საქართველოსთვის.

22 გივი ჯულაყიძე- პარტია ლელო.

თქვენ ამ ჩამონათვალით გაგაცანით ახლად არჩეული საკრებულოს წევრთა სია. ამის შემდგომ სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს, მოგმართავთ გთხოვთ, იცნოთ საკრებულოს ახლად არჩეული წევრთა უფლებამოსილება. ვინ არის მომხრე ხელის აწევით დავადასტუროთ. საკრებულოს წევრებმა (33 ხმით) მხარი დაუჭირეს მე-5 მოწვევის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების ცნობას.

ნანა იმნაძემ, საკრებულოს გადასცა საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის საჭირო დოკუმენტაცია (საარჩევნო ოქმები, მასალები არჩევნების შედეგების, მათი ჩატარების სისწორის, შემოსული საჩივრების თაობაზე, განცხადებები საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილი ფაქტების შესახებ და სხვა), ხოლო საკრებულოს არჩეული პირების შესაბამისი მოწმობები, რათა მათ განახორციელონ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ნაწილში სწორედ ის პროცედურები, რომელიც შემდგომში წარმოადგენს არჩეულ წევრთა უფლებამოსილების ცნობას.

შემდეგი პროცედურების წარმართვის მიზნით, ნანა იმნაძემ, თხოვა საკრებულოს უხუცეს წევრს, ბატონ ბადრი შენგელიას.

განცხადება გააკეთა კობა ძიძიგურმა - ,,მე ჩემი პარტიის სახელით, მინდა განვაცხადო, რომ არ ვღებულობ მონაწილეობას საკრებულოს თანამდებობის პირთა არჩევაში და ვტოვებ საკრებულოს სხდომას''.

ემზარ შუბლაძემ მიმართა საკრებულოს - პირველ რიგში მინდა თითოეულ თქვენგანს და მოქმედ საკრებულოს წევრებს ვთხოვო, პატივი მივაგოთ ბათუმის საკრებულოს წევრს, ბატონ ნუგზარ ფუტკარაძეს, აწ გარდაცვლილს, წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ მის ხსოვნას. საქართველოს ისტორიაში ეს არის ერთადერთი ფაქტი, როდესაც საკრებულოს წევრი, ზეწოლისა და დაშინებისგან გარდაიცვალა. ჩვენ სხვა უფლება არ გვაქვს გარდა იმისა, რომ პატივი მივაგოთ მის ხსოვნას. თქვენ იცით, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არის ყველაზე მსხვილი ოპოზიციური პარტია, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოში და მას შემდეგ, რაც ორგანულ კანონში ცვლილება იქნა შეტანილი და დაემატა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების შტატი, ჩვენ ვუშვებდით, რომ დემოკრატიულობის პრინციპიდან გამომდინარე და იქედან გამომდინარე, რომ იქნებ ქართულ ოცნებას გადაედგა ნაბიჯი - ოპოზიციისთვის შეეთავაზებინა რომელიმე მოადგილის თანამდებობა, თუნდაც ფორმალურად, რომლიც მნიშვნელოვანი იქნებოდა ჩართულობაში, ვხედავთ, რომ ქართული ოცნება გადასულია ერთპიროვნულ მმართველობაზე. სხვა გზა არ დაუტოვა ოპოზიციურ პარტიას გარდა იმისა, რომ მხოლოდ და მხოლოდ აქ ვიყოთ სიმბოლურად. ვიღაცის გამონათქვამს ან დავეთანხმოდ ან საერთოდ არ დავეთანხმოთ, ანუ მსმენელის როლში. აქედან გამომდინარე აზრი არ არა აქვს აქ ჩვენს ყოფნას. არც საკრებულოს თავმჯდომარის მისი მოადგილეების არჩევაზე, შესაბამისად ვინაიდან ჩვენი აქ ყოფნა სამართლებრივად ვერანაირ ზეგავლენას ვერ მოახდენს, ხოლო თანამშრომლობაზე უარი ქართულ ოცნებამ აპრიორი პირველივე ნაბიჯზევე განაცხადა, ჩვენ პროტესტის ნიშნად ვტოვებთ საკრებულოს სხდომას.

აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობას არ ავიღებთ და არჩევნებში არ მივიღებთ მონაწილეობას. პროტესტის ნიშნად ვტოვებთ საკრებულოს სხდომას.(სხდომა დატოვა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის 7-მა წევრმა: ე.შუბლაძემ, ა.თადუმაძემ. დ.ნიკოლეიშვილმა, აკაკი მინაშვილმა, ქეთევან კუტალაძემ, ლაშა გრიგოლიამ, მარიამ ბარბაქაძემ).

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რეგისტრაციასთან დაკავშირებული განცხადება და დოკუმენტაცია, ემზარ შუბლაძემ დატოვა საკრებულოს სხდომის მდივანთან.

სხდომა სულ დატოვა საკრებულოს 8 წევრმა: ემზარ შუბლაძემ, დავით ნიკოლეიშვილმა, ავთანდილ თადუმაძემ, აკაკი მინაშვილმა, მარიამ ბარბაქაძემ, ლაშა გრიგოლიამ, ქეთევან კუტალაძემ და კობა ძიძიგურმა.

პარტია ,,ლელო''-ს წარმომადგენელმა, გივი ჯულაყიძემ, აღნიშნა, რომ რჩება საკრებულოს სხდომათა დარბაზში, მაგრამ მონაწილეობას არ მიიღებს საკრებულოს მუშაობაში.

ბადრი შენგელიამ მიულოცა ახლად არჩეულ მე-5 მოწვევის საკრებულოს წევრებს გამარჯვება, უფლებამოსილების ცნობა და უსურვა შემდგომი წარმატებები.

სხდომის თავმჯდომარემ (საკრებულოს უხუცესმა წევრმა) საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-4 მოწვევის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.
2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობა.
3. დროებითი სამანდატო კომისიის არჩევა.
4. დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა.
5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ.
6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ს დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ.
7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა.
8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევა.
9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა.
10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა.
11. საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცება.
12. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.
13. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.
14. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.
15. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.
16. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის

დამტკიცების შესახებ.

17. საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევა.

18. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევა.

19. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევა.

20. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევა.

21. საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევა.

22. საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცება.

23. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

24. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

25. სხვადასხვა.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> - მომხსენებელმა, ბადრი შენგელიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-4 მოწვევის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 25-ე მუხლის თანახმად შეუწყდეს უფლებამოსილება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-4 მოწვევის საკრებულოს წევრებს შემდეგი შემადგენლობით:

1. **ნუგზარ ჯამბურია -**
2. **კობა ძიძიგური -**
3. **მანანა სირბილაძე -**
4. **შალვა არზუმანიანი -**
5. **ბადრი შენგელია -**
6. **მერაბ უღრელიძე -**
7. **გიორგი ლეჟავა -**
8. **ტარიელ დვალიშვილი -**
9. **რაჟდენ ტორონჯაძე -**

10. **ვაჟა სტურუა -**
11. **ზაზა ადეიშვილი -**
12. **კოტე ნაცვლიშვილი -**
13. **დავით ამაღლობელი -**
14. **გრიგოლ ჩიგოგიძე -**
15. **ხვიჩა ფანცულაია -**
16. **ტარიელ თევზაძე -**
17. **ილია მჟავია -**
18. **ვახტანგ დუნდუა -**
19. **ვაჟა კოხრეიძე -**
20. **გოჩა არველაძე -**
21. **ბაია იმესაშვილი -**
22. **ავთანდილ ტორონჯაძე -**
23. **ლიზა კრავეიშვილი -**
24. **ნონა გოგისვანიძე -**
25. **გრიგოლ დარჯანია -**
26. **ემზარ შუბლაძე -**
27. **მამუკა ბიბილეიშვილი -**
28. **ავთანდილ თადუმაძე -**
29. **დავით ნიკოლეიშვილი -**
30. **ავთანდილ სტურუა -**
31. **ალექსანდრე ჯვარშეიშვილი -**
32. **კამო კანდელაკი -**
33. **აკაკი მინაშვილი.**

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-4 მოწვევის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ''.

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u> - მომხსენებელმა, ბადრი შენგელიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 25-ე მუხლის თანახმად, ცნობილ იქნას სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილება.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო

საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ''.

<u>დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით</u> - მომხსენებელმა, ბადრი შენგელიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამანდატო კომისიის არჩევის შესახებ''.**

ბადრი შენგელიამ აღნიშნა, რომ საჭიროა არჩეული იქნას დროებითი სამანდატო კომისია, სამი წევრის შემადგენლობით. გთხოვთ, დაასახელოთ კანდიდატურები.

სამანდატო დროებითი კომისიის წევრებად დასახელდა შემდეგი კანდიდატურები: გოჩა არველაძე, ბექა თევზაძე, გიორგი გაგუა. თითოეულ კანდიდატს ცალ-ცალკე ეყარა კენჭი. კენჭისყრის შედეგად (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილოება არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ) არჩეული იქნა სამანდატო დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით: გოჩა არველაძე, ბექა თევზაძე, გიორგი გაგუა.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილოება არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ) დამტკიცდა განკარგულება, ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამანდატო კომისიის არჩევის შესახებ''.**

<u>დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით</u> - მომხსენებელმა, ბადრი შენგელიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის არჩევის შესახებ''.

ბადრი შენგელიამ აღნიშნა, რომ საჭიროა არჩეული იქნას ხმის დამთვლელი დროებითი კომისია, სამი წევრის შემადგენლობით. გთხოვთ, დაასახელოთ კანდიდატურები.

საკრებულოს წევრებმა დაასახელეს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის სამი კანდიდატურა: ლელა ჩორგოლაშვილი, მაია ტალაბაძე, ჯონი თევზაძე. თითოეულ კანდიდატს ცალ-ცალკე ეყარა კენჭი. კენჭისყრის შედეგად (24 ხმით) არჩეული იქნა ხმის დამთვლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ლელა ჩორგოლაშვილი, მაია ტალაბაძე, ჯონი თევზაძე.

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ) დამტკიცდა განკარგულება, ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის არჩევის შესახებ''.**

კომისიები შეუდგა მუშაობას. თავიანთი შემადგენლობიდან არჩეული იქნა შესაბამისი კომისიის თავმჯდომარე. კერძოდ, სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა გოჩა არველაძე, ხოლო ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ლელა ჩორგოლაშვილი (კომისიების შესაბამისი ოქმები საკრებულოს სხდომის ოქმს თან ერთვის).

12:30 საათზე გამოცხადდა შესვენება 20 წუთი. სამანდატო დროებითი კომისია გავიდა სამუშაოდ და შესაბამისი დასკვნის წარმოსადგენად.

სხდომა განახლდა 12:50 საათზე. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრებმა.

<u>დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით</u> - მომხსენებელმა, ბადრი შენგელიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ''**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დროებითი სამანდატო კომისიის მიერ წარმოდგენილია ოქმი N1 და N2, საიდანაც ირკვევა, რომ დროებით სამანდატო კომისიას განცხადებით მიმართა ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს თავმჯდომარემ, ტარიელ დვალიშვილმა, ფრაქციის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ფრაქცია შედგება 24 წევრისაგან. ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს 7 მოადგილე. წარმოგიდგენთ შესაბამის პროექტს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ.

ცნობად იქნეს მიღებული სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება''-ს დაფუძნება შემდეგი შემადგენლობით:

1. **ტარიელ დვალიშვილი - ფრაქციის თავმჯდომარე**
2. **ნუგზარ ჯამბურია -**
3. **მანანა სირბილაძე -**
4. **ვალერიანე ფოცხვერია -**
5. **ბექა თევზაძე - მოადგილე**
6. **ლიზა კრავეიშვილი - მოადგილე**
7. **ირაკლი მელაშვილი -**
8. **ჯონი ახობაძე -**
9. **მაია ტალაბაძე - მოადგილე**
10. **ტარიელ ცომაია -**
11. **ბადრი შენგელია -**
12. **ლელა ჩორგოლაშვილი -**
13. **გრიგოლ ჩიგოგიძე -**
14. **დავით ჯანელიძე - მოადგილე**
15. **ზაზა ადეიშვილი -**
16. **ნათია პაპავა -**
17. **გოჩა არველაძე - მოადგილე**
18. **ვაჟა სტურუა -**
19. **პაატა კოხრეიძე. -**
20. **ილია მჟავია - მოადგილე**
21. **ჯონი თევზაძე - მოადგილე**
22. **გიორგი გაგუა -**
23. **მერაბ უღრელიძე -**
24. **გიორგი ლეჟავა**

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ''.**

<u>დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით</u> - მომხსენებელმა, ბადრი შენგელიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ს დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ''**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დროებითი სამანდატო კომისიის მიერ წარმოდგენილია ოქმი N1 და N2, საიდანაც ირკვევა, რომ დროებით სამანდატო კომისიას განცხადებით

მიმართა ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ს თავმჯდომარემ, ემზარ შუბლაძემ, ფრაქციის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ფრაქცია შედგება 6 წევრისაგან. ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს 2 მოადგილე. წარმოგიდგენთ შესაბამის პროექტს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ს დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ.

ცნობად იქნეს მიღებული სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ს დაფუძნება შემდეგი შემადგენლობით:

1. **ემზარ შუბლაძე - თავმჯდომარე**
2. **აკაკი მინაშვილი -**
3. **ავთანდილ თადუმაძე - მოადგილე**
4. **ქეთევან კუტალაძე - მოადგილე**
5. **მარიამ ბარბაქაძე -**
6. **ლაშა გრიგოლია -**

პროექტის ირგვლივ შენიშნვები არ ყოფილა .

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ს დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ''.**

<u>დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით</u> - სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოსულია განცხადება, რომლითაც სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დასახელებულია ნუგზარ ჯამბურიას კანდიდატურა. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ნუგზარ ჯამბურიას, თანახმაა თუ არა მიიღოს კენჭისყრაში მონაწილეობა. ნუგზარ ჯამბურიამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოთქვა თანხმობა. მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ნუგზარ ჯამბურიას ბიოგრაფია და მისი შემოქმედებითი გზა.

დაევალა ხმის დამთვლელ დროებით კომისიას, კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს ფარული კენჭისყრის პროცედურების სამართლიანი ჩატარება და კენჭისყრის შედეგების შესახებ ეცნობოს საკრებულოს.

ვთხოვ, დროებითმა ხმის დამთვლელმა კომისიამ, შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ლელა ჩორგოლაშვილი, მდივანი მაია ტალაბაძე, წევრი ჯონი თევზაძე, კანონის შესაბამისად იმუშაოს ფარული კენჭისყრის პროცედურებზე და საკრებულოს წარმოუდგინეს კენჭისყრის შედეგები:

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად კომისიის მიერ დალუქული იქნა საარჩევნო ყუთი, ბეჭედი დაესვა ბიულეტენებს. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრიდან 24-მა წევრმა, (სხდომა დატოვა საკრებულოს 8 წევრმა). ფარული კენჭისყრა დაიწყო 13:00 საათზე.

საარჩევნო ყუთი გაიხსნა 13:15 საათზე. ყუთის გახსნისას გამოვლინდა შემდეგი: ნუგზარ ჯამბურიას საკრებულოს 24 წევრიდან მხარი დაუჭირა 23-მა წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1-მა წევრმა. 1 ბიულეტენი აღმოჩნდა ბათილი. (ხმის დამთვლელი

კომისიის სხდომის ოქმი N2 თან ერთვის).

ფარული კენჭისყრის შედეგად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, არჩეულ იქნა ნუგზარ ჯამბურია.

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგად, (23 ხმით, კენჭისყრაში მონაწილოება არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ''.**

სხდომის თავმჯდომარემ, ბადრი შენგელიამ, მიულოცა ნუგზარ ჯამბურიას საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა და გადასცა სხდომის წაყვანის უფლებამოსილება.

ნუგზარ ჯამბურიამ, მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს და უსურვა შემდგომი წარმატებები. აღნიშნა, ,, უპირველესად ჩემი სახელით, თქვენი სახელით, მადლობას ვუხდი ამომრჩეველს იმისათვის, რომ დღეს თქვენს წინაშე ვდგევარ. მე-3 და მე-4 მოწვევის საკრებულოში ერთად ვიზიარებდით იმ გამოწვევებს, რაც ჩვენი ქვეყნის წინაშე იდგა. დღესაც ვდგევართ იქ სადაც საჭიროა. დარწმუნებული ვარ, რომ უფლებამოსილების 4 წელი ღირსეულად იქნება გავლილი. რა თქმა უნდა იყო შეცდომები, არა სასიამოვნო პროცესები, მაგრამ ამ დარბაზში საუბრის თემა მიმართული იქნება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისათვის, ჩვენი ქვეყნის წარმატებისათვის. ვფიქრობ, რომ ჩვენი წინაპრების მიერ გავლილი ღირსეული გზა, ყოველთვის იქნება უძვირფასესი განძი ქვეყნის კეთილდღეობის, თავგანწირვის, ჩვენი სამშობლოს ბედნიერი ხვალინდელი დღისათვის. მარადჟამს გვახსოვდეს ერთი რამ, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია. დიდი მადლობა ჩემო კოლეგებო, თქვენთან ერთად ვდგევარ იქ სადაც მოითხოვს ჩვენი ქვეყანა.

<u>დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ, კანონის შესაბამისად დაასახელა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე, ვაჟა სტურუას, კანდიდატურა.

ვაჟა სტურუამ, თანხმობა განაცხადა კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე.

მომხსენებელმა გააცნო ვაჟა სტურუას ავტობიოგრაფია. 2011 წლიდან მთელი მისი ოჯახი, სამეგობრო წრე, ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა იმ პოლიტიკურ პროცესებში, რომელიც დაიწყო ჩვენს ქვეყანაში. 2014-20 წლებში იყო სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი. ეკავა ფრაქციის თავმჯდომარის თანამდბობა. 2017-2021 წლებში ასევე საკრებულოს მაჟრიტარი დეპუტატია, ფრაქცია ,,მაჟორიტარების თავმჯდომარე და საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯომდარის მოადგილე. 2021 წლიდან დღემდე არის საკრებულოს მე-5 მოწვევის დეპუტატი. გზა დაულოცოთ მას ქვეყნისა და ჩვენი მუნიციპალიტეტის აღმშენებლობის საქმეში.

დროებითი ხმის დამთვლელი კომისია შეუდგა კენჭისყრის პროცედურების ჩატარებას.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად კომისიის მიერ დალუქული იქნა საარჩევნო ყუთი, ბეჭედი დაესვა ბიულეტენებს. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრიდან 24-მა წევრმა, (სხდომა დატოვა საკრებულოს 8 წევრმა). ფარული კენჭისყრა დაიწყო 13:35 საათზე.

საარჩევნო ყუთი გაიხსნა 13:52 საათზე. ყუთის გახსნისას გამოვლინდა შემდეგი: ვაჟა სტურუას საკრებულოს 24 წევრიდან მხარი დაუჭირა 24-მა წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1-მა წევრმა.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით, (24 ხმა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეულ იქნა **ვაჟა სტურუა.** (ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმი N3 თან ერთვის).

ვაჟა სტურუამ მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს იმ ნდობისთვის რომელიც მას გამოუცხადა. დიდი პასუხისმგებლობაა იყო მე-5 მოწვევის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი და მეკაოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა. მადლობა თითოეულ თქვენგანს, იმ დაუღალავი შრომისათვის, რომელიც ერთად გავიარეთ ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებისათვის, რომ მშვიდობიან და სტაბილურ გარემოში ჩატარებულიყო, ვფიქრობ თითოეული თქვენგანის ცოდნა, პროფესიონალიზმი და გამოცდილება ეფექტურად იქნება გამოყენებული ჩვენი მოქალაქეების სოციალური და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგად, (23 ხმით, კენჭისყრაში მონაწილოება არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ''.

<u>დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ, კანონის შესაბამისად დაასახელა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე, ნათია პაპავას, კანდიდატურა.

ნათია პაპავამ თანხმობა განაცხადა კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე.

მომხსენებელმა გააცნო ქალბატონ ნათია პაპავას ავტობიოგრაფია.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად კომისიის მიერ დალუქული იქნა საარჩევნო ყუთი, ბეჭედი დაესვა ბიულეტენებს. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრიდან 24-მა წევრმა, (სხდომა დატოვა საკრებულოს 8 წევრმა). ფარული კენჭისყრა დაიწყო 14:00 საათზე.

საარჩევნო ყუთი გაიხსნა 14:00 საათზე. ყუთის გახსნისას გამოვლინდა შემდეგი: ნათია პაპავას საკრებულოს 24 წევრიდან მხარი დაუჭირა 24-მა წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1-მა წევრმა.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით, (24 ხმა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა ნათია პაპავა**.** (ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმი N4 თან ერთვის).

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგად, (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილოება არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ''.

ნათია პაპავამ მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს ნდობისა და თანადგომისათვის. განსაკუთრებით მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ამომრჩეველს, რომლებმაც მომცა საშუალება გამხდარიყავი საკრებულოს წევრი და თქვენთან ერთად მეკეთებინა ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის სასიკეთო საქმეები. იმედს ვიტოვებ ჩვენი თანამშრომლობა იქნება ნაყოფიერი.

<u>დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ, კანონის შესაბამისად დაასახელა საკრებულოს

თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე, ვალერიანე ფოცხვერიას, კანდიდატურა.

ვალერიანე ფოცხვერიამ, თანხმობა განაცხადა კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე.

მომხსენებელმა გააცნო ვალერიანე ფოცხვერიას ავტობიოგრაფია.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად კომისიის მიერ დალუქული იქნა საარჩევნო ყუთი, ბეჭედი დაესვა ბიულეტენებს. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრიდან 24-მა წევრმა, (სხდომა დატოვა საკრებულოს 8 წევრმა). ფარული კენჭისყრა დაიწყო 14:45 საათზე.

საარჩევნო ყუთი გაიხსნა 15:05 საათზე. ყუთის გახსნისას გამოვლინდა შემდეგი: ვალერიანე ფოცხვერიას საკრებულოს 24 წევრიდან მხარი დაუჭირა 22-მა წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1-მა წევრმა. ბათილი ბიულეტენი- 2 ცალი.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით, (24 ხმა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა ვალერიანე ფოცხვერია. (ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმი N5 თან ერთვის).

ვალერიანე ფოცხვერია - მინდა მადლობა ვუთხრა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას იმისათვის, რომ მხარი დაგვიჭირა და მოგცა მანდატი წარმოდგენილი ვყოფილიყავით საკრებულოში. საიდანაც მუხლჩაუხრელად უნდა ვემსახუროთ ჩვენს მოსახლეობას.

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგად, (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილოება არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ''.

მე-5 მოწვევის საკრებულოს წევრებს მიმართა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა დავით ბახტაძემ - ,,ბატონებო და ქალბატონებო, დღეს მნიშვნელოვანი დღეა სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის. მე-5 მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომის ხარისხიანად წარმართვა განაპირობებს მომდევნო წლებში რაოდენ მნიშვნელოვან საკითხებს მიიღებს შემდგომში საკრებულო, რაოდენ ძლიერი იქნება თვითმმართველობა და პირველ რიგში მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გამოხატვისთვის, მინდა ჩვენს ამომრჩევლებს უღრმესი მადლობა გადავუხადო და ამასთანავე ის პასუხისმგებლობა, რაც გათავისებული გვაქვს თითოეულ ჩვენთაგანს, დარწმუნებული ვარ ამ მომდევნო 4 წლის განმავლობაში, თითოეულ ჩვენთაგანს შეგვმატებს ძალას, ენერგიას, შემართებას იმისთვის, რომ ღირსეულად ვემსახუროდ ჩვენს ამომრჩეველს. განსაკუთრებული მადლობა მინდა თითოეულ თქვენთაგანს გითხრათ და ასევე წინა მოწვევის საკრებულოს წევრებს, ვინც ღირსეულად ჩაატარა ის პერიოდი, რაც სამტრედიის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. წარმომადგენლობითი ორგანოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობა ერთ-ერთი სანიმუშო იყო და ვიმედოვნებ, რომ მომავალშიც ასე გაგრძელდება. მადლობა მინდა გადავუხადო მუნიციპალიტეტის ყოფილ მერს, ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას, გაწეული საქმიანობისთვის. ვიმედოვნებ, რომ მომავალში მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო გააგრძელებს ურთიერთ თანამშრომლობის რეჟიმში საკმაოდ საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტაზე ზრუნვას, რათა სწრაფი ტემპებით გავაგრძელოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარება, ვიზრუნოთ თითოეული მოქალაქისათვის, მათი კეთილდღეობისთვის და ამასთანავე ვუპასუხოთ იმ გამოწვევებს, რაც არის 21-ე საუკუნისთვის აქტუალური. მე-5 მოწვევის საკრებულოს ძალიან გამოადგება წინა მოწვევის საკრებულოს წევრების

გამოცდილება, ამასთანავე მივესალმები ჯანსაღი განახლების პროცესს. მინდა დავუდასტურო პატივისცემა ახალ არჩეულ საკრებულოს წევრებს და დარწმუნებული ვარ, ეს თანამშრომლობის რეჟიმი გამოცდილ კადრებსა და ახლად არჩეულ წევრებს შორის იქნება განსაკუთრებით ნაყოფიერი. მინდა მივესალმო ოპოზიციის წარმომადგენელს, ბატონ გივი ჯულაყიძეს, რომელმაც სხდომის მიმდინარეობას არ ჩამორჩა, არის ჩვენს გვერდით. მისი პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით არ იღებს პროცესებში მონაწილეობას, მაგრამ სხდომაზე ბრძანდება, ის არის პატივისცემის გრძნობით გამსჭვალული და მოტივირებული. ვადასტურებ საკრებულოს სხვა ოპოზიციური წარმომადგენლების მიმართაც ჩემს პატივისცემას და მინდა გამოვხატო ჩემი მოსაზრება, რომელიც ეხებოდა სხდომის დასაწყისში ბათუმის საკრებულოს წევრის გარდაცვალების ფაქტს. კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ვუსამძიმრებ მის ოჯახს და მის ახლობლებს ამ დანაკლისს. ჩვენ გამოვხატეთ ადამიანური ვალი და დავადასტურეთ გარდაცვლილი ადამიანის მიმართ პატივისცემა, მაგრამ იმ განმარტებით რაზეც იყო საუბარი, რომ დაშინებისა და ზეწოლის საფუძველზე გარდაიცვალა ეს ადამიანი, ვერ დავეთანხმები. წარსულს აქვს ჩაბარებული ის დრო როდესაც ვინმეს მიმართ ხორციელდება ზეწოლა და დაშინება.

საკრებულოს თავმჯდომარეს, მოადგილეებს, კომისიისა და ფრაქციის თავმჯდომარეებს, თანამდებობის პირებს და სრულ შემადგენლობას, კიდევ ერთხელ მოგილოცავთ მე-5 მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობას და გისურვებთ წარმატებებს. ერთმანეთის მხარდაჭერით, ჩვენ ვუპასუხებთ ყველა გამოწვევას და დარწმუნებული ვარ სამტრედიის მუნიციპალიტეტი იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვნი და განსაკუთრებული მუნიციპალიტეტი.

14:20 საათზე გამოცხადდა შესვენება 20 წუთი. სამანდატო დრეობითი კომისია გავიდა სამუშაოდ და შესაბამისი დასკვნის წარმოსადგენად.

სხდომა განახლდა 14:40 საათზე. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრებმა.

<u>დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი, ,,საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-მ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 24 - ე მუხლის, პირველი პუნქტის „ბ,დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იმუშავა საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ და წარმოადგინა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად 1. განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობა 15 კაცით.

2. დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები დანართის N1 შესაბამისად.

დანართი N1

#	კომისიის დასახელება	კომისიის წევრთა რაოდენობა	ფრაქცია ,,ქართული ოცნება''	ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''	უფრაქციო წევრი
1	იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია	15	8	3	1

2	ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია	15	8	3	1
3	შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია	15	8	3	1
4	საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისია	15	8	3	1
5	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია	15	8	3	1

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგად, (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ''.

<u>დღის წესრიგის XII საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ, სხდომის წევრებს გააცნო ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ''.

პროექტის თანახმად, დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო** საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა შემდეგი სახით.

1. მანანა სირბილაძე
2. ლიზა კრავეიშვილი
3. მერაბ უღრელიძე
4. პაატა კოხრეიძე
5. მაია ტალაბაძე

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ''.

<u>დღის წესრიგის XIII საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ, სხდომის წევრებს გააცნო ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ''.

პროექტის თანახმად, დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **საფინანსო-საბიუჯეტო** საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა შემდეგი სახით.

1. მერაბ უღრელიძე
2. ბექა თევზაძე
3. ჯონი ახობაძე
4. ტარიელ ცომაია
5. დავით ჯანელიძე
6. ზაზა ადეიშვილი
7. ირაკლი მელაშვილი
8. გოჩა არველაძე

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ''.

<u>დღის წესრიგის XIV საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ, სხდომის წევრებს გააცნო ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ''.

პროექტის თანახმად, დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა შემდეგი სახით.

1. ტარიელ ცომაია
2. დავით ჯანელიძე
3. ჯონი ახობაძე
4. გიორგი გაგუა
5. მანანა სირბილაძე
6. პაატა კოხრეიძე

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ''.

<u>დღის წესრიგის XV საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ, სხდომის წევრებს გააცნო ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ''.

პროექტის თანახმად, დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა შემდეგი სახით:

1. გიორგი ლეჟავა

2. ტარიელ დვალიშვილი

3. ლელა ჩორგოლაშვილი

4. ილია მჟავია

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ''.

<u>დღის წესრიგის XVI საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ, სხდომის წევრებს გააცნო ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ''.

პროექტის თანახმად, დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ** საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა შემდეგი სახით:

1. ირაკლი მელაშვილი

2. ტარიელ დვალიშვილი

3. გიორგი ლეჟვა

4. ლელა ჩორგოლაშვილი

5. გოჩა არველაძე

6. ჯონი თევზაძე

7. ილია მჟვია

8. გრიგოლ ჩიგოგიძე

9. მაია ტალაბაძე

10. ბადრი შენგელია

11. ბექა თევზაძე

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ''.

<u>დღის წესრიგის XVII საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ, სხდომის წევრებს გააცნო ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ''**,

რომლის თანახმად **იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის** შემადგენლობიდან, კომისიის თავმჯდომარედ დასახელებულია მანანა სირბილაძის კანდიდატურა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისიების თავმჯდომარეთა არჩევა უნდა განხორციელდეს ფარული კენჭისყრით, რისთვისაც მოუწოდა დროებით ხმის დამთვლელ კომისიას, კანონის შესაბამისად უზრუნველყოს ფარული კენჭისყრის პოცედურები.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად კომისიის მიერ დალუქული იქნა საარჩევნო ყუთი, ბეჭედი დაესვა ბიულეტენებს. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრიდან 24-მა წევრმა, (სხდომა დატოვა საკრებულოს 8 წევრმა). ფარული კენჭისყრა დაიწყო 15:10 საათზე.

საარჩევნო ყუთი გაიხსნა 15:20 საათზე. ყუთის გახსნისას გამოვლინდა შემდეგი: მანანა სირბილაძეს საკრებულოს 24 წევრიდან მხარი დაუჭირა 24-მა წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1-მა წევრმა.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით, (24 ხმა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მანანა სირბილაძე. (დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმი N6, საკრებულოს ოქმს თან ერთვის)

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგად, (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ''.

<u>დღის წესრიგის XVIII საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ, სხდომის წევრებს გააცნო ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს

მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ''**, რომლის თანახმად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხტა კომისიის შემადგენლობიდან, კომისიის თავმჯდომარედ დასახელებულია მერაბ უღრელიძის კანდიდატურას.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად კომისიის მიერ დალუქული იქნა საარჩევნო ყუთი, ბეჭედი დაესვა ბიულეტენებს. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრიდან 24-მა წევრმა, (სხდომა დატოვა საკრებულოს 8 წევრმა). ფარული კენჭისყრა დაიწყო 15:30 საათზე.

საარჩევნო ყუთი გაიხსნა 15:45 საათზე. ყუთის გახსნისას გამოვლინდა შემდეგი: მერაბ უღრელიძეს საკრებულოს 24 წევრიდან მხარი დაუჭირა 24-მა წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1-მა წევრმა.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით, (24 ხმა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მერაბ უღრელიძე. (დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმი N7, საკრებულოს ოქმს თან ერთვის)

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგად, (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ''.

<u>დღის წესრიგის XIX საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ, სხდომის წევრებს გააცნო ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ'', რომლის თანახმად ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან, კომისიის თავმჯდომარედ დასახელებულია ტარიელ ცომაიას კანდიდატურას.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად კომისიის მიერ დალუქული იქნა საარჩევნო ყუთი, ბეჭედი დაესვა ბიულეტენებს. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრიდან 24-მა წევრმა, (სხდომა დატოვა საკრებულოს 8 წევრმა). ფარული კენჭისყრა დაიწყო 15:55 საათზე.

საარჩევნო ყუთი გაიხსნა 16:10 საათზე. ყუთის გახსნისას გამოვლინდა შემდეგი: ტარიელ ცომაიას საკრებულოს 24 წევრიდან მხარი დაუჭირა 24-მა წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1-მა წევრმა.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით, (24 ხმა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ტარიელ ცომაია.

(დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმი N8, საკრებულოს ოქმს თან ერთვის)

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგად, (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ''.

<u>დღის წესრიგის XX საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ, სხდომის წევრებს გააცნო ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ'', რომლის თანახმად შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან, კომისიის თავმჯდომარედ დასახელებულია გიორგი ლეჟავას კანდიდატურას.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად კომისიის მიერ დალუქული იქნა საარჩევნო ყუთი, ბეჭედი დაესვა ბიულეტენებს. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრიდან 24-მა წევრმა, (სხდომა დატოვა საკრებულოს 8 წევრმა). ფარული კენჭისყრა დაიწყო 16:20 საათზე.

საარჩევნო ყუთი გაიხსნა 16:40 საათზე. ყუთის გახსნისას გამოვლინდა შემდეგი: გიორგი ლეჟავას საკრებულოს 24 წევრიდან მხარი დაუჭირა 24-მა წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1-მა წევრმა.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით, (24 ხმა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გიორგი ლეჟვა.

(დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმი N9, საკრებულოს ოქმს თან ერთვის)

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგად, (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ''.

<u>დღის წესრიგის XXI საკითხთან დაკავშირებით</u> - საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ, სხდომის წევრებს გააცნო ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ'', რომლის თანახმად საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან, კომისიის თავმჯდომარედ დასახელებულია ირაკლი მელაშვილის კანდიდატურა.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად კომისიის მიერ დალუქული იქნა საარჩევნო ყუთი, ბეჭედი დაესვა ბიულეტენებს. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრიდან 24-მა წევრმა, (სხდომა დატოვა საკრებულოს 8 წევრმა). ფარული კენჭისყრა დაიწყო 16:45 საათზე.

საარჩევნო ყუთი გაიხსნა 17:00 საათზე. ყუთის გახსნისას გამოვლინდა შემდეგი: ირაკლი მელაშვილს საკრებულოს 24 წევრიდან მხარი დაუჭირა 24-მა წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1-მა წევრმა.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით, (24 ხმა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ირაკლი მელაშვილი.

(დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმი N10, საკრებულოს ოქმს

თან ერთვის).

დაადგინეს: ფარული კენჭისყრის შედეგად, (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ''.

დღის წესრიგის XXII საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, ,,**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'', რომლის თანახმად წარმოდგენილია საკრებულოს ბიურო შემდეგი შემადგენლობით:**

1. დამტკიცდეს **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემდეგი შემადგენლობა:**

    1. ნუგზარ ჯამბურია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
    2. ვაჟა სტურუა - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.
    3. ნათია პაპავა - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
    4. ვალერიანე ფოცხვერია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
    5. მანანა სირბილაძე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
    6. მერაბ უღრელიძე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
    7. ტარიელ ცომაია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
    8. ირაკლი მელაშვილი - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
    9. გიორგი ლეჟავა - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
    10. ტარიელ დვალიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს თავმჯდომარე.
    11. ემზარ შუბლაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ს თავმჯდომარე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

შემადგენლობის დამტკიცების შესახებ’’.

დღის წესრიგის XXIII საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ, წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი, **,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’.**

ნუგზარ ჯამბურიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დებულაში ცვლილება განპირობებულია საქართველოს კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექს’’-ში განხორციელებული ცვლილებით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XXIV საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ',' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’.

პროექტის შესაბამისად წარმოდგენილია, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობა.**

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 24-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (24 ხმით, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს ერთმა წევრმა, გივი ჯულაყიძემ.) დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ',' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’.

/დადგენილება თან ერთვის/

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი